

# როცა შენს გულზე გულიანი ეპიმი ზრუნავს

(ჩატბ კაცითაძე და  
უნიკალური  
კარდიოჰირურგიული  
ოპერაციები)



2009 წელს, როდესაც ჩვენს უურნალში კარდიოჰირურგ ზაზა კაცითაძის პორტრეტი დაიბეჭდა, მაშინ „ოჯახის მკურნალი“ შავ-თეთრი იყო, არა ისეთი მიმზიდველი, როგორიც დღეს არის, არც ვებგვერდი [mkurnali.ge](http://mkurnali.ge) არსებობდა, თორემ, ალბათ, გამოხმაურებებს ვერ დაიტევდა. მიუხედავად ამისა, რედაქტორი ზარები არ წყდებოდა, მადლობას გვიხდიდნენ ამ საოცარი ექიმის წარმოჩენისთვის, აღფრთოვანებას ვერ მაღლავდნენ მადლიერი პაციენტები მისი პიროვნების მიმართ, აქებდნენ და ადიდებდნენ.

იმხანად შუნტირება და საზოგადოდ, გულ-სისხლ-ძარღვთა რეკონსტრუქციული ოპერაციები, შედარებით ახალი ხილი იყო ქართული მედიცინისათვის, შესაბამისად, ყველა ოპერაცია დიდ რეზონანსს იწვევდა, ინფორმაცია კლინიკიდან უმაღლ უონავდა. ასე შევიტყვეთ მაშინ, რომ შვეიცარიიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა კარდიოჰირურგმა, ზაზა კაცითაძემ, 18 წლის პაციენტს ურთულესი ოპერაცია წარმატებით გაუკეთა, სასიკეთო განვითარებული ყმაშვილი სიკვდილს გადაარჩინა. მაშინ ყველა, დიდი თუ პატარა, ამაზე საუბრობდა. ჩვენც ამ საკითხის გაშუქება გადაგვიტეთ, ერთი კვირის მანძილზე ვცდილობდი ბატონ ზაზასთან შეხვედრას ინტერვიუსთვის, ფაქტობრივად, ვდარაჯობდი კლინიკაში, „ლია გული“, რადგან ის სულ საოცერაციოში იყო.

თითქოს არაფერი შეცვლილა, ამჟერადაც იგივე განმეორდა, ყველასათვის საყვარელი და სახელოვანი ქირურგი კვლავაც საოცერაციოშია. ერთი კვირის განმავლობაში თითქმის სულ გამორთული ჰქონდა

მობილური ტელეფონი, სასწრაფო-გადაუდებელი, გეგმური ოპერაციები, განსაკუთრებული შემთხვევები, ურთულესი ოპერაციები ახალგაზრდებთან, მოზრდილებთან, ხანდაზმულებთან – მისი სამუშაო კვირები მუდმივად გადატენირდა. თუმცა ერთ საღამოს, ორი ოპერაციის შემდეგ, მაინც შევხდით. ამჟერად – სისხლძარღვთა და გულის დაავადების ცენტრში, სადაც ბატონი ზაზა კარდიოჰირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი და დირექტორის მოადგილეა. იგი კარდიოჰირურგიულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სამედიცინო კორპორაცია ევესშიც. 1999-2003 წლებში მოღვაწეობდა ჯო ენის სახ. კარდიოჰირურგიულ კლინიკაში, 2003-2008 წლებში იყო კარდიოჰირურგიული კლინიკა „ლია გულის“ კარდიოჰირურგი, 2008-2015 წლებში აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში ხელმძღვანელობდა კარდიოჰირურგიულ და კარდიოლოგიურ დეპარტამენტებს, იმავდროულად, იყო კლინიკის სამედიცინო დირექტორიც.

ზაზა კაცითაძემ ასპირანტურა გაიარა ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრში (თანდაყოლილი მანკების ქირურგიის განყოფილება, მოსკოვი).

სტაჟირება კი გავლილი აქვს:

■ მოზრდილთა გულ-სისხლძარღვთა ქირურგიაში (ევროპის კარდიო-თორაკალური ქირურგიის ასოციაციის ეგიდით, ლინცი, ავსტრია);

■ შენების საუნივერსიტეტო კლინიკაში (გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილება);

■ ახალშობილთა გულის ქირურგიაში (პოზნანის ბავშვთა საავადმყოფო, კარდიოჰირურგიული განყოფილება);

■ სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე კარდიოჰირურგიულ ოპერაციებში (ტალინი, ესტონეთი);

■ გულის ტრანსპლანტაციაში (ციურიხი, შვეიცარია, საუნივერსიტეტო კლინიკის კარდიოჰირურგიული დეპარტამენტი).

დიდი პროფესიონალიზმისა და პრაქტიკული გამოცდილების გარდა, მას საოცარი გულისხმიერება და თავმდამბლობაც ამშვერებს. ის ძალზე უშეაღლო და თავდადებული ექიმია. საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ერთნაირად დარდობს და იღვწის როგორც 18, ასევე 85 წლის პაციენტისათვის. ყოველთვის მაცებებს მისი ხალასი ბუნება და კეთილი ხასიათი, როგორ შეუძლია ყოველთვის მშვიდი ტონით, კეთილგანწყობილმა ისაუბროს ყველასთან, თუნდაც ურთულესი ოპერაციიდან გამოსულმა, დღეობით უძილომ, გადაღლილმა (გაბრაზებული და აყვირებული ის ვერავის წარმოუდგენია), ეს არის სწორედ მისი მაღალი სამედიცინო კულტურისა და პროფესიონალიზმის ნიშანი, რაც ბევრი ქირურგისაგან გამოარჩევს და რის გამოც ის გულშროფელად უყვართ.

– ბატონო ზაზა, ყველამ იცის, რომ მრავალი სიცო-  
ცხლე გადაგირჩენიათ, ძალიან რთული და საინტერესო  
ოპერაციების შემოქმედი ხართ. რამდენიმე განსაკუ-  
თრებულ შემთხვევაზე იქნებ დეტალურად გვიამბით....

— ერთხელ რესპუბლიკურ სააგადდმყოფოში მოიყვანებს 32 წლის ბიჭი, წინასწარი დიაგნოზი რომელიღაც ფსიქოტროპული საშუალებით მოწამვლა იყო. ამ დიაგნოზით მოგვიყვანა სასწრაფო დაბმბრების ბრიგადამ. ახალგაზრდა ძალიან აგრესიული იყო, მედცერსონალიც კი გაგვილახა, ახლობლებს რომ გავესაუბრეთ — რა ფსიქოტროპული საშუალება, კაცი მოჭიდავეა და ცხოვრებაში არა თუ მსგავსს, საერთოდ წამალს არ გაჰქიცარებიაო. გულის არეში აღენიშნებოდა ძლიერი ტკილი, დაუყოვნებლივ შევიყვანეთ გამოსაკვლევად, ჩავუტარეთ კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტით, გამოვლინდა აღმავალი აორტის დისექცია, ძალიან იშვიათი შემთხვევა იყო ასეთი ახალგაზრდა ასაკისათვის, დაშლილი იყო მთელი აღმავალი აორტა, მწვავე ოკლუბია იყო მარჯვენა საერთო საძილე არტერიის, კლასიკური იშემია იყო განვითარებული, მხარეობრიობა არ გამოიხატებოდა, თუმცა ინსულტის მდგომარეობა ცხადად იკვეთებოდა, ამიტომაც იყო პაციენტი მოუსვენარი და აგრესიული. სასწრაფოდ შევიყვანეთ საოპერაციოში. გამოვლენებით აღმავალი აორტა, აორტის სარქველი, აორტის რკალი, მხარ-თავის დერო უკან ჩაგდერუნეთ, დამატებით გადავნერეგეთ მარცხენა საერთო საძილე არტერია და მარჯვენა საერთო საძილე არტერიის დამტებითი პროტეზირება გავაკეთეთ, მარჯვენა კორონარული არტერია მთლიანად იყო დაშლილი, არტერიის რეკონსტრუქცია და შენტირებაც მოხერხდა.

– ფაქტობრივად, თავიდან აგიწყვიათ საბრალო?!

— ნამდვილად ასეა. ძალიან როული ოპერაცია  
ჩავტკარეთ. ჩვეულებრივ, ღია წესით გავაკეთეთ, 16  
გრადუსამდე გავაცივეთ პაციენტის სხეული (შემდგომ,  
სულ ცოტა, სამი საათი სჭირდება სხეულის ეტაპობრივად  
გათბობას), ტვინი რომ არ მომკვდარიყო, რეალურად 45  
წუთი გვქონდა მანიპულირებისათვის. ნახევარი საათის  
განმავლობაში საერთოდ გათიშული გვქონდა სისხლის  
მიმღეცვა თრგანიზმში, დიდანს გვეწვა რეანიმაციულ  
განყოფილებაში, თუმცა ნორმალურად წარიმართა  
პოსტოპერაციული პერიოდი. გულიკო ქილიფთარმა —  
რეანიმაციული განყოფილების გამგებ თავი არ დაბოგა,  
ყველაფერი გააკეთა ახალგაზრდა კაცის მდგომარეო-

ბიდან გამოსაყვანად. დღეს ის კარგად არის, სრულად ჯინმრთელი, აქტიურად ცხოვრობს, რამდენჯერმე გვეს-ტუმრა კიდევ კლინიკაში.

\* \* \*


— ძალიან საინტერესო იყო ეს შემთხვევაც — გვყავდა ერთი ახალგაზრდა, 30 წლის პაციენტი, აორტის რკალის ანევრიზმით, რკალი ძალიან გადიდებული იყო, დაახლოებით 6-6,5 სმ დიამეტრისა და აწევბოლდა ტრაქეას, სახმო იოგებს, ახალგაზრდა გამუდმებით ახველებდა, ხმა შეცვლილი ჰქონდა. საზოგადოდ, აორტის რკალის გამოცვლა ძალიან როტულია, ჯრ ერთი ქირურგიულად მისადაგომადაც ძალიან რთულია, მეორეც, მართალია 16 გრადუსამდე აციებ სხეულს და ჰიპოთერმიით იცავ თავის ტვინს, მაგრამ ეს მარტივი საქმე არ გახლავთ, სარისკო და სანერვულობა გამოსაგლილის თვალსაზრისით.


ამ ბიტისთვის ჩატარებული ოპერაციის შეგავსი,  
თამამად შემიძლია გითხრათ, საქართველოში არ გაკე-  
თებულა. მეტიც, არც ამიერკავკასიაში და ალბათ, არც  
რუსეთში. ევროპაში კი კეთდება, მაგრამ ძალიან ცოტა.

— საერთოდაც, როგორ შეიძიდეთ?

— კლინიკის დირექტორი, პროფესორი კოტე ყიფაიანი, მე და ენდოგასკულური ქირურგი, ვახტანგ ყიფაიანი და ვასხედით და ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, გავაანალიზეთ და გამოსავალიც ვაძლოვთ, მოვიწიქრეთ როგორ გავვეკეთებინა. ეს ოპერაცია რეალურად, მე, კოტე და ვახტანგ ყიფაიანებმა ერთად გავაკეთეთ: მხართავის ლეროს გამოსვლის ადგილას აორტის რკალის დიამეტრი ნორმალური იყო, დიდი ანევრიზმა იწყებოდა მარცხენა საერთო საძილე არტერიის გამოსვლის ადგილიდან და ნაწილობრივ გადადიოდა გულმკერდის აორტაზე. ბატონ კოტესთან ერთად გაკეთდა აორტის რკალის ტოტების ექსტრაგადართვა. საუღლე ფოსოსთან გაკეთდა განაკვეთი და სპეციალური აორტებული პროთეზის მეშვეობით სისხლის ნაკადი გადავრთეთ მარჯვენა საერთო საძილე არტერიიდან მარცხენა საერთო და მარცხენა ლავიწევებში არტერიების სკენ, ამასთან, ეს ორი უკანასკნელი, რკალთან გამოსვლის ადგილთან გადაიკვანდა. მეორე დღეს ვახტანგ ყიფაიანმა, ენდოგასკულურად (სისხლძარღვის შიგნიდან) პროთეზები ჩაუდგა აორტის რკალსა და გულმკერდის აორტაში (ფეხიდან შევიდა). კაცი სამ დღეში სახლში გავწერეთ. პროთეზები წინასწარ შევუკეთეთ, ინდივიდუალური ზომების შესაბამისად

აორტის რეალის ტოტების ექსტრაგადართვის სენტრური ნახატი





შეადგება (კომპიუტერული ტომოგრაფიის მონაცემებს ვუგზავნით და აკეთებენ), დაახლოებით ორ კვირაში ჩამოვიდა ევროპიდან.

– მართლაც სასწაულებს ახდენთ!

\* \* \*

– აი, მაგალითად, ოქტომბრის თვეში კლინიკებს შორის თანამშრომლობისა და ერთობლივი მუშაობის საუცხოო შემთხვევა დაფიქსირდა: ანზორ მელიას კლინიკა „გულში“ მოხვდა 79 წლის პაციენტი ფიბრილაციით. ამის ფონზე, ჩაუტარდა დეფიბრილაცია, განვითარდა ასისტოლია – გული გაჩერდა, 7-წუთის გულ-ფილტვის რეანიმაციის წყალობით გულის მუშაობა აღდგა, პაციენტი შეიცვანეს კორონარულოგრაფიაზე, სისხლძარღვები ძალიან კალციფირებული ჰქონდა, თუმცა, რომელიც შევიწროებული (ოკლუზირებული) იყო, გახსნეს, დააბალონეს, სტენტი ჩააყენეს. ძალიან კარგად იმუშავეს კოლეგებმა, ადამიანი გონს მოვიდა, ინფარქტის ზონა ძალიან შეამცირეს და შემდეგ ჩვენთან სისხლძარღვთა და გულის დაავადების ცენტრში გადმოიყვანეს. ჩვენ მას სასწრაფო წესით ჩავუტარეთ ოპერაცია, მომუშავე გულზე გავუკეთეთ შენტირება. როცა ოპერაციას ვაკეთებდი, პრაქტიკულად ვეძებდი უბანს, რომ სისხლძარღვი მიმეკრებინა, ისეთი კარგი დინამიკა იყო. ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად ასეთი თანამშრომლობა და თავდადება აღნიშვნისა და ქების ღირსია, მე ეს ყოველთვის განსაკუთრებულად მახარებს!

– ბატონი ზაზა, თქვენი დიდსულოვნება, კოლეგიალობის დიდი გრძნობა, საქმის უზომო სიყვარული და თავდადება გასაგებია, მაგრამ მაინც როგორ ახერხებთ მუდმივად კეთილგანწყობისა და სიმშეინის შენარჩუნებას ყველასთან, განსაკუთრებით კი პაციენტებთან? ყოველთვის საფუძვლიანად უხსნით ყველაფერს, უშაბლოდ და თბილად ეკონტაქტებით, არ ამადლით პასუხს, დახარჯულ დროს, უხეშობა და გულგრილობა ხომ გამორიცხულია, თქვენი კაბინეტიდან ყოველთვის კმაყოფილები და პირდაპირ ვიტყვი, თქვენზე შეყვარებულები გამოდიან (იღიმება ჩვეული თავმდაბლობით).

– სიმართლე გითხრათ, ძალიან მაოცებს ხოლმე ექიმთა უხეშობისა თუ სხვა მიუღებელი ქცევის ფაქტები. ყოველთვის ვამბობ და ახლაც აღვნიშნავ – ექიმობა მარტო პროფესია არ არის, ეს ცხოვრების წესია, ცხოვრების წესს კი ყველა ადამიანი თავად ირჩევს. თუ არ გინდა ექიმობა, არ გიყვარს პაციენტი, არ გყოფნის მასთან ურთიერთობისა და საუბრის ნერვები, სხვა საქმით უნდა დაკავდე, ექიმთან დალხენილი კაცი არ მოდის, მოდის ყოველთვის გაჭირვებული, თავისი პრობლემით შეწუხებული, ასეთ ადამიანს კი, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ეუხეშოს ექიმი, კიდევ უფრო მეტად როგორ უნდა დაუმძიმოს, ისედაც დამძიმებული მდგომარეობა!

\* \* \*

იმ საღამოს ბევრი ვისაუბრეთ, არაერთ უნიკალურ ოპერაციას გავეცნი.

„გუშინ 85 წლის კაცს მომუშავე გულზე სამი შენტი დაგადე, გასულ კვირას 79 წლის ქალბატონს სარქელი გამოვცუცვალე, იმას ენდოპროთეზი ჩავუძგი, ამას აორტის რკალი გამოვცუცვალე“ – ისე მარტივად და ჩვეულებრივ მიყვებოდა ყოველივეს პროფესიონალი ქირურგი, თითქოს მართლაც ასეთი იოლი და მარტივი საქმე იყოს! რაც მთავარია, სიხარულსა და ბედნიერებას ვერ მაღავდა იმის გამო, რომ გამოკანმრთელებული პაციენტები მუდმივად ეკონტაქტებიან, „გუშინ იმ პაციენტმა დამირეკა, წინა კვირას იმან შემოვციარა, ის დაქორწინდა, ის სპორტს დაუბრუნდა“ – არ მთავრდებოდა ამაღელვებელი და გასახარი ინფორმაციები.

ბუნებრივია, მეც ძალიან დადებითი ემოციებით აღვსილი და კმაყოფილი წამოვედი საყვარელი კარდიოქირურგის კაბინეტიდან და მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა – „მართლაც ბედნიერებაა, როცა შენს გულზე გულიანი ექიმი ზრუნავს!“

ესაუბრა თინათინ გოგაძე